ზოგიერთი მოსაზრება ლათინური ნოტარიატის მომავალზე

რიხარდ ბოკი
სასამართლო მრჩეველი, საპატიო ნოტარიუსი, გერმანული კერძოს სამართლის ნოტარიუსების ფედერალური პალატის მთავარი წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

ნოტარიუსის პროფესიის მომავალზე ფიქრი მიეკუთვნება ნოტარიუსთა ეროვნული პალატებისა და ლათინური ნოტარიუსების საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას. რამდენიმე წლის წინ ნოტარიუსთა პროფესიულ სამართალში, სანოტარო სამართლის რელევანტურ მატერიალურ კერძო სამართალსა და სანოტარო პროფესიულ სამართალში განვითარებები ძირითადად ინიცირებული იყო გარედან: კანონმდებელმა, ისევე, როგორც ზოგადმა ტექნიკურმა პროგრესმა, ნოტარიუსები აიძულა გადაეხედათ თავიანთი ადგილისთვის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში და თავიანთი პროფესიული სამართალი და პროცედურები პოლიტიკურ წარმოდგენებსა და ინტერესებისთვის მოერგოთ. როგორც წესი, ისინი რეაგირებდნენ მოთხოვნებზე, რომლებიც საერთაშორისო ნოტარიატების მიმართ გარედან იყო ნაკარნახევი.

ეს რეაქტიული მიდგომა ხშირად არ იყო სასურველი მოცულობით წარმატებული. აქედან მათ ჭკუა ისწავლეს. ეროვნული პალატები დღეის მდგომარეობით უფრო და უფრო ცდილობენ აქტიური წვლილი შეიტანონ სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროცედურებში. ეს არ გამოდის ყოველთვის და ხარვეზების გარეშე, და ასეთი სიახლეები არ ინერგება მართლმსაჯულების სისტემაში ერთ ღამეში. მაგრამ პალატებს შეუძლიათ, თავის მხრივ, წვლილი შეიტანონ იმაში, რომ შეინარჩუნონ მჭიდრო კონტაქტი იუსტიციის სამინისტროს იერარქიის ყველა დონის ადმინისტრაციასთან და მათთან ერთად იმუშაონ. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყენაში მრავალი წელია ხორციელდება ნორმების პერმანენტული შემოწმება. აღნიშნულით იმაზე ზრუნავენ, რომ რომ ყველამ დროულად მიიღოს ცოდნა შესაბამისი კანონპროექტების შესახებ და გამოხატოს საკუთარი პოზიცია, მაშინაც კი როდესაც არ სთხოვენ.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის (UINL) ყველა წევრი, რომლებიც შესაბამისი პალატების მეშვეობით ასოცირებული პროფესიონალები არიან, წარმოადგენენ ნოტარიუსებს კერძო პრაქტიკაში. ნოტარიუსები ყოველთვის არ შეიძლება დაეყრდნონ იმას, რომ კანონმდებელი მუდმივად და ოპერატიულად დგამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც ზოგადი ტექნიკური და საზოგადოებრივი განვითარების გათვალისწინებით სანოტარო პროცედურების მოდერნიზებისა და ადაპტაციის-

* გერმანულიდან თარგმნა ნატალი გოგიაშვილმა

თვისაა საჭირო. ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში სულ უფრო მეტად იღებენ ამ ამოცანებს საკუთარ თავზე. ეს განსაკუთრებით ეხება სანოტარო მომსახურების დიგიტალიზაციას.

ამრიგად, ამ ნაშრომის პირველ ნაწილში მოკლე მიმოხილვა იქნება წარმოდგენილი დიგიტალიზაციის სფეროში მიმდინარე პროექტების შესახებ და შემდეგ თვალს გადავავლებთ ნოტარიუსთა პროფესიულ სამართალში აუცილებელი ცვლილებების საკითხს.

ნაწილი 1
დიგიტალიზაცია

1. ტექნიკური აღჭურვილობა და არსებული IT-პროექტები

იმისათვის, რომ წარმატებით დაიგეგმოს და განხორციელდეს IT-პროექტები, საჭიროა ან შესაბამისი გარე ფირმების მომსახურება ან შესაბამისი ტექნიკური ნოუჰაუთი აღჭურვილი თანამშრომლები. აქ შესაძლებელია თვალი მოვავლოთ პროგრამული უზრუნველყოფის დაწესებულებების ბაზარს და ამ გარე დაწესებულებებისთვის მოხდეს შეკვეთების მიცემა. შესაძლებელია ასევე პალატის შიგნით საკუთარი IT - განყოფილების შექმნა, სადაც ყოველთვის იქნება შესაძლებლობა, ზოგიერთი კომპონენტის გარედან მიღება ან სპეციალურად განვითარება.

პროექტის დაწყებისთვის სწორი კონცეფციის არჩევა ადვილი არ არის, თუმცა გადამწყვეტია. ამასთან ეს არ ეხება მხოლოდ ძირითადი პროექტის უბრალოდ შემუშავებას. პროექტი მისი დაწყების მომენტიდან ასევე იწვევს ხარჯებს და სამუშაოებს. შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი დამატებითი ასპექტები არ შეიძლება იყოს უგულებელყოფილი:

1.1. პროექტის შემუშავების შემდეგ პროექტის შემუშავებაში მონაწილე თანამშრომელთა დიდი ნაწილი რჩება პროექტის საქმიანობაში. ნოტარიუსთა ფედერალურ პალატაში ეს საშუალოდ 50%-ია. მათ ამოცანებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ხარვეზების აღმოფხვრა და ზოგადი სერვისის მიწოდება პროექტში ჩართული ნოტარიუსებისთვის, ისევე როგორც პროექტის შემდგომი ხაზოვანი განვითარება.

1.2. უმეტეს შემთხვევაში, პროექტის პირველი აქტივაციის შემდეგ, სხვა ფუნქციების დამატების საჭიროებაც ჩნდება, რომლებიც, მართალია, უკვე სისტემაშია ჩადებული, მაგრამ თავიდან უნდა მოხდეს მისი შემუშავება და როგორც ამას ტექნიკურ ჟარგონად მოიხსენიებენ, „ჩამორჩენების" („backlogs") ბოლომდე აღმოფხვრა. ამისთვის ასევე საჭიროა შესაბამისი პერსონალი ან შესაბამისი გარე ფირმები.

პროექტის შემდგომი ხარჯები, შესაბამისად, შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად დიდი და უნდა მოხდეს მათი გათვალისწინება გაანგარიშებაში.

შესაძლებელაა ასევე კითხვაც დაისვას, ასეთი კომპლექსური დავალების სტრუქტურის გათვალისწინებით, ხომ არ ჯობია იუსტიციის ადმინისტრაციის სანოტარო სერვისების დიგიტალიზაცია გადაეცეს სახელმწიფო IT სისტემებს, ანუ მათ დაუკავშირდეს. ბევრ ქვეყანაში მსგავს გამოსავალს სხვადასხვა მიზეზით ანიჭებენ უპირატესობას, იქნება ეს ფინანსური თუ წარმოშობის გამო, რადგან ფინანსური დანახარჯები ეფექტური IT სისტემებისთვის საკმაოდ დიდია და ამასთან, ბევრი სანოტარო სისტემა დასაბამიდანვე წარმოადგენდა სახელმწიფო ნოტარიატებს.

ეს ამავე დროს უპასუხებდა კითხვას, შეეძლო თუ არა პირს წინასწარ ევარაუდა, რომ სანოტარო საქმიანობასთან დაკავში-

რებული იუსტიციის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაში არსებული IT პროექტის პირველადი შემუშავების შემდეგ წარმოშობილი შემდგომი ხარჯებიც გარანტირებულად იქნებოდა დაფარული. აქედან გამომდინარე, საჭირო ბიუჯეტირების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულების გათვალისწინებით, აღნიშნულის ბოლომდე დასრულება ხანგრძლივად აღარ გაგრძელდებოდა.

თუმცა, ჩვენი გამოცდილებით, სულაც არ შეიძლება ველოდოთ, რომ სასამართლო ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის ქვეშ ნოტარიუსთან დაკავშირებული IT პროექტის პირველი შემუშავების შემდეგ, მას ყოველთვის ექნება იმის გარანტია, რომ შემდგომი ხარჯებიც დაიფარება. როგორც იურიდიული პროფესიის წევრები, რომელთა ძირითადი ამოცანები მოიცავს ზიანის პრევენციას და თავიდან აცილებას, ნოტარიუსები ვერ დაეყრდნობიან სახელმწიფოს მდგრად ფინანსურ მხარდაჭერას. არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადგილობრივ სამართლებრივი მომსახურების მიმწოდებელთა ბაზრებზე, ნოტარიუსის ოფისს სხვა პროფესიული ჯგუფებიც უწევენ კონკურენციას, რომლებსაც პოლიტიკური ზეგავლენა აქვთ. ამიტომ მიზანშეწონილია, როგორც ზოგადი პროფესიული პოლიტიკის პრევენციის ნაწილი, რათა არ გახდეს ფინანსურად დამოკიდებული.

შედეგად, UINL–ში გაერთიანებულმა ნოტარიუსთა ზოგიერთმა პალატამ თავად დაფინანსა დიგიტალიზირება სრულად ან უდიდესი ნაწილი. ჯერჯერობით, პროექტების მთავარი საკითხებია სახელმწიფო რეესტრებთან ელექტრონული კავშირები, რომლის მიზანია შეზღუდვის გარეშე მათი ნახვა და იქ ჩანაწერების გაკეთება. ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით საფინანსო დაწელებულებისა და სხვა ორგანოებისთვის ინფორმაციის გადაცემა ბევრგან უკვე ციფრულად ხორციელდება.

გარდა ამისა, ზოგიერთმა პალატამ შექმნა საკუთარი ელექტრონული რეგისტრები, როგორებიცაა მაგალითად დოკუმენტების რეგისტრები, ანდერძის და მინდობილობის რეგისტრები და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში ასევე ხდება შესრულებული სანოტარო მოქმედებების არქივების გაციფრულება, ქაღალდის საქმეების ელექტრონულ დოკუმენტებად გადაქცევით ან ორიგინალური ელექტრონული დოკუმენტების წარმოებით.

ალბათ, მსოფლიოში ყველაზე დიდი მიმდინარე საპროექტო საკითხი, სანოტარო საქმიანობაში გაციფრულების სფეროში, არის დისტანციური დამოწმება. არსებობს მრავალი ადგილობრივი განვითარებები ფუნქციონირებისა და მონაცემთა უსაფრთხოების სხვადასხვა მოთხოვნებით. მაგალითად, ქვემოთ მოცემულია გერმანული ტექნოლოგია, რომელიც ბოლო წლებში განავითარა ნოტარიუსთა ფედერალურმა პალატამ და რომელიც ონლაინ რეჟიმში 2022 წლის აგვისტოდან ამოქმედდა.

2. დისტანციური დამოწმება

დისტანციური საშუალებით დამოწმებაში მოიაზრება დამოწმების ფორმა, რომლის დროსაც მონაწილეები არ მიდიან სანოტარო ბიუროში, არამედ ნოტარიუსს მხოლოდ ციფრულად უკავშირდებიან. შესაბამისად, ეს არ ეხება დამოწმებას სხვადასხვა ადგილას მყოფ ორ ნოტარიუსთან VPN-კავშირის გამოყენებით. ასეთი პროცედურა გერმანიაში არ არის გათვალისწინებული.

დისტანციური დამოწმება თავდაპირველად მხოლოდ საკორპორაციო სამართალში და კომპანიების დაფუძნებისთვის გამოიყენება. მიზანი იყო მარტივი და ამავე დროს უსაფრთხო პროცედურის შექმნა. მოქალა-

ქეებს სჭირდებათ მხოლოდ პირადობის მოწმობა eID ფუნქციით - რომელიც ადამიანების უმეტესობას დღეს უკვე აქვს -, სტანდარტული სმარტფონი NFC ტექნოლოგიით - როგორიცაა მაგალითად საყიდლების დროს გადახდისას გამოყენებადი - და ლეპტოპი კამერით და მიკროფონით.

მთელი პროცედურა ტარდება ნოტარიუსთა ფედერალური პალატის საკუთარი ციფრული პლატფორმის მეშვეობით. მონაწილეები რეგისტრირდებიან იქ და იღებენ QR კოდს, რომელსაც მობილური ტელეფონით ასკანერებენ. შემდგომ ეს აპლიკაცია იხსნება. მონაწილეები ადებენ პირადობის მოწმობას სმარტფონს. აპლიკაცია კითხულობს eID-ს NFC ტექნოლოგიის გამოყენებით. ასე რომ, აქ არ გამოიყენება არასაიმედო ვიდეო იდენტიფიკაციის პროცედურა, არამედ იდენტიფიკაცია ხდება ექსკლუზიურად პირადობის მოწმობაში შენახული მონაცემებით. შესაბამისად, ეს არის პირველი ნაბიჯი, საიმედოდ განხორციელდეს იდენტიფიკაცია.

შემდეგ ეტაპზე დაგენერირდება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ჩაანაცვლებს ჩვეულებრივ ხელმოწერას. იგი შეიძლება მოგვიანებით sms-PIN-ით დოკუმენტზე იქნეს გადმოტანილი.

ამის შემდეგ იწყება ელექტრონული წვდომა ნოტარიუსისთვის. მონაწილე მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნოტარიუსი კომპანიის ადგილსამყოფელის ან რამდენიმე მონაწილიდან ერთ-ერთის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ნოტარიუსი ჩართულ მხარეებს სატელეფონო ზარის ან ელექტრონული ფოსტით მიმოწერის შემდეგ გაუგზავნის დოკუმენტის დრაფტს და შეათანხმებს შეხვედრის თარიღს დოკუმენტის დამოწმებისთვის. დამოწმება ხდება ვიდეო კონფერენციით BNotK პლატფორმის საშუალებით. მონაწილეები კვლავ იდენტიფიცირდებენ თავიანთი QR კოდით. პირადობის მოწმობაში შენახული მონაცემებიდან კონფიგურირებული სურათი გამოჩნდება ეკრანზე. ნოტარიუსი ადარებს სურათს მონაწილე პირს, რომელსაც ეკრანზე ხედავს. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ არავის შეეძლოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება სხვისი პირადობის მოწმობით. დამოწმების დასასრულს ელექტრონულად მოეწერება ხელი დოკუმენტს. ამისთვის მონაწილეები იყენებენ PIN-ს, რომელიც მათ ეგზავნებათ პროცესის მიმდინარეობისას მობილურ ტელეფონზე.

შედეგად, ხელმოწერების საშუალებით იქმნება ორიგინალი ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ინახება BnotK-ის დოკუმენტების არქივში და პარალელურად ელექტრონულად იგზავნება სავაჭრო რეესტრში კომპანიის რეგისტრაციის მიზნით.

ამ დროისთვის ეს ტექნოლოგია მხოლოდ კომპანიის დაფუძნებისთვის იქნება გამოყენებული. მაგრამ ეს ვარგისია დამოწმების ყველა ფორმისთვის.

3. EUdoc

ჩვენი პროფესიის ციფრული მომავლის ამ ექსკურსიის დასასრულს, ეს სტატია ასევე ეხება EUdoc-ს, ევროპულ პროექტს, რომელიც ნოტარიუსთა ფედერალურმა პალატამ ესპანეთის ნოტარიუსთა პალატასთან ერთად შეიმუშავა. ამ ასოციაციის ორგანოები ამჟამად განიხილავენ ამ ტექნოლოგიის მიღებას ევროკავშირის სანოტარო ბიუროების მიერ, რომლებიც არიან CNUE-ს წევრები.

ევროპაში, წევრ ქვეყნებს შორის მზარდი მჭიდრო კავშირების შედეგად, ჩნდება საჭიროება ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტების საზღვრებს გარეთ გამოყენების. EUdoc არის IT პლატფორმა, რომლითაც ეს

წარმოდგენილი მიზანი უნდა განხორციელდეს. მას აქვს სამი ძირითადი ფუნქცია:

— ის უზრუნველყოფს უსაფრთხო ელექტრონულ გადაცემას VPN კავშირის საშუალებით;

— ის მონაწილე ნოტარიუსების ვერიფიკაციას ახდენს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერების შემოწმების საშუალებით.

— ის ადასტურებს ტრანზაქციაში მონაწილე პირთა, როგორც აქტიური ნოტარიუსების სტატუსს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მასშტაბით ნოტარიუსის იდენტიფიკაციისთვის ძალიან განსხვავებული ტექნიკური გზები არსებობს.

პლატფორის ინსტალაცია ხდება მონაწილე პალატების მეშვეობით, მაგრამ კომუნიკაცია პლატფორმაზე მიმდინარეობს პალატების ჩარევის გარეშე. EUdoc არის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ერთი ფანჯრის გადაწყვეტა ყველა სანოტარო საზღვრებს მიღმა დოკუმენტებისა და ტრანზაქციებისთვის.

მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეები ხშირად საზღვარგარეთ იმყოფებიან, არსებობს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტების გამარტივებული და უსაფრთხო ფორმით გაცვლის მზარდი საჭიროება, რომელიც შეიძლება გამოყენებული და აღიარებული იყოს შესაბამის სამიზნე ქვეყანაში შემდგომი ავთენტიფიკაციის გარეშე. ნოტარიუსები გახდებიან მიმზიდველი პარტნიორები, როდესაც საქმე ეხება საზღვრებს გარეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაგზავნას. Eudoc ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალში აპოსტილის გასაცემად. ამასთან, შეუძლებელია EUdoc-ის გამოყენება მთელ მსოფლიოში. მაგრამ შეზღუდული სფეროებისთვის, სადაც მონაწილე ქვეყნების მართვადი რაოდენობაა, როგორიცაა ევროკავშირი, ასევე გაწევრიანების მსურველი კანდიდატი ქვეყნების ან სხვა მეზობელი სახელმწიფოები, Eudoc შესანიშნავი გადაწყვეტაა სანოტარო აქტების ბრუნვისთვის.

ნაწილი II

პროფესიული სამართალი

ამ სტატიის მეორე ნაწილში განხილული იქნება სანოტარო პროფესიული სამართლის ზოგიერთი სამომავლო ასპექტი. ამ ნაშრომის ფარგლებში აღნიშნული საკითხი შემოიფარგლება სამი მნიშვნელოვანი საკითხით: Legal Tech, დერეგულაცია და კომერციალიზაცია, მომხმარებელთა დაცვა.

1. Legal Tech

ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ წრეებში, მაგრამ ასევე სულ უფრო მზარდად ევროპაშიც, სამოქალაქო-სამართლებრივ პროცესში მუშაობა მიმდინარეობს ე.წ. "LegalTech"-ის დახმარებით. მაგალითად, დავები, რომლებიც წარმოიქმნება ნასყიდობის გამო ინტერნეტში, ხშირად აღარ ექვემდებარება სასამართლოს ზოგად იურისდიქციას. პირიქით, მყიდველი სულ უფრო ხშირად თანხმდება შეკვეთის დროს პირობას, რომ დავები შეიძლება წარიმართოს და გადაწყდეს კომპანიის ციფრული დავების გადაწყვეტის პლატფორმის მეშვეობით ანუ ერთგვარი კერძო მართლმსაჯულების დაწესებულების მიერ.

დაინტერესებული მხარის მიერ - და ეს უკავშირდება ნოტარიატს - სამართლებრივი ურთიერთობების და უფლებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ყველა სახის შეთავაზების წარგდენა ხდება, რომ მოხდეს სახელმწიფო რეესტრების, ანუ უძრავი ქო-

ნების და კომპანიების რეესტრების პრივატიზირება, ასევე კონტრაქტების და ყველა სახის განცხადებების შაბლონების კანონით განსაზღვრა.

ამ კონტექსტში ნოტარიატთან მიმართებით ჩნდება ორი კითხვა:

უპირველეს ყოვლისა, შეინარჩუნებს თუ არა სახელმწიფო, გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგისტრაციების განხორციელებასთან დაკავშირებით თავის სუვერენულ ვალდებულებებს, თუ მათი გადაცემა მოხდება კერძო პლატფორმებზე, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან რეგისტრაციებზე?

მაგალითად, ლიხტენშტეინში კანონი ციფრული სეკურიტიზაციის შესახებ გვაძლევს ამ სცენარის წინასწარ ნახვის შესაძლებლობას: ის ითვალისწინებს შესაძლებლობას, საკუთრების უფლება გამოხატული ციფრული მონეტების ფორმით, რომლებიც ბლოკჩეინში სავაჭოდ გამოიყენება, იყოს დაცული. ნოტარიატთან მიმართებით, მოცემული განვითარების გათვალისწინებით ჩნდება კითხვა: არის თუ არა დღეს ის მდგომარეობა, რომ არსებული სამართლებრივი გარემო იქნეს შენარჩუნებული და პოლიტიკოსები იყვნენ დარწმუნებულები, რომ საჯარო რეესტრის სამსახური და ნოტარიუსი უკეთესია, რათა საკუთრების უფლებები იყოს დაცული, ვიდრე ონლაინ პლატფორმის ნებისმიერი კერძო ოპერატორი?

მეორე: შესაძლებელია ხელშეკრულებების შედგენისა და ინდივიდუალური რჩევების შეთავაზების კომპეტენცია, ასევე დიგიტალიზაციის პერიოდში შენარჩუნდეს? თუ სამართლებრივი სისტემის ზოგადი პრიმიტივიზაციის საფრთხე იქმნება კანონით გათვალისწინებული ყველა სახის ხელშეკრულებისთვის ონლაინ შაბლონების მეშვეობით?

თუ მარეგულირებელი გარემო შეიცვლება, საფიქრებელია, რომ LegalTech-კომპანიები ან ინტერნეტ გიგანტები საკუთარ თავზე აიღებენ ნოტარიუსების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან იურიდიულ სფეროებს და ონლაინ შაბლონებს შემოგთავაზებენ. წარმოიდგინეთ, რომ Amazon და Google შაბლონების დახმარებით ყველა სარჩელის თუ საჩივრის 90%-ს წინასწარ შეარჩევს, რომლებიც უნდა იქნან შეტანილი სახელმწიფო მარეგისტრირებელ ორგანოებში თუ სასამართლოებში. ამ შემთხვევაში არამხოლოდ ადვოკატურა და სანოტარო საქმიანობა, არამედ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლებაც გაქრება.

რაც შეეხება ნოტარიატს, მის მუდმივ მოვალეობებს, ასე ვთქვათ, პროფესიულ-პოლიტიკური საქმიანობის საფუძველს მიეკუთვნება ინდივიდუალური რჩევისა და ინდივიდუალური ხელშეკრულების შემუშავების უნივერსალურობა და ამით დემონსტრირდება პროფესიის მნიშვნელობა სამართლიანი სახელმწიფოს შენარჩუნებაში.

2. დერეგულაცია და კომერციალიზაცია

თუმცა, ამის დამაჯერებლად განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საკუთარი ფუნდამენტური პრინციპების გააზრება და მათი წარმატებით დაცვა მოხდება. კონტინენტური ევროპის ნოტარიუსის მთავარი მახასიათებელი მისი სტატუსია, როგორც სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელის. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მისი დანიშვნა, სახელმწიფო რეგულირება და პროფესიის კონტროლი უზრუნველყოფს მის ობიექტურობას და ნეიტრალიტეტს. და მისი სტატუსი, როგორც სახელმწიფო მოხელის, ამართლებს სანოტარო აქტების მტკიცებულების ძალასა და მათი აღსრულების პროცესს. მისი სტატუსი და, შესაბამისად, იურიდიული გარიგებების

დამოწმების ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭება რისკის ქვეშ დადგებოდა, თუ პროფესიის მზარდი დერეგულირება და კომერციალიზაცია პროფესიული პოლიტიკის დღის წესრიგში მოხვდება.

მეორე გრძელვადიანი დასაძლევი ამოცანა მომავალი პროფესიული სამართლის რეგულირებისას, ნაწარმოებია იმით, რომ ნოტარიუსის, როგორც დოკუმენტების დამმოწმებელი სახელმწიფო მოხელის სტატუსს სხვა დაინტერესებული პროფესიული ჯგუფები და ინსტიტუციები ეჭვქვეშ დააყენებენ. აქ ორი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა ხელიხელჩაკიდებულები მუშაობენ კონკურენციის ხელშეწყობის და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მოჩვენებითი ძალისხმევით:

ერთის მხრივ, პროცედურების გამარტივებისა და კომპლექსურობის შემცირების უფრო დახვეწილი პროცედურების სასარგებლოდ მოწოდებით ნოტარიული დამოწმების პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული. მსოფლიო ბანკის Doing-Business ანგარიშში უკეთესი რეიტინგის მიღების ზეწოლის გამო, რომელიც იმავდროულად ავტორიტეტული ადამიანების გავლენის ბოროტად გამოყენების გამო იქნა დანერგილი, ბევრმა ქვეყანამ ნოტარიუსების ძირითადი კომპეტენციები იურიდიული მომსახურების ბაზარზე სხვა მოთამაშეების სასარგებლოდ გააუქმა. ხშირ შემთხვევაში შემცირდა პროფესიაში შესვლის ხარისხობრივი მოთხოვნები. ამით ორმაგი ეფექტი იქნა მიაღწეული: მას შემდეგ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საანოტარო მომსახურებები ნაწილობრივ საადვოკატიო ბიუროებმა აიღეს თავის თავზე, რომლებიც დერეგულირებულ ბაზრებზე კონკურენციას უწევენ ნოტარიუსებს. ამავე დროს, ნოტარიატის მეშვეობით თანამდებობრივად გარანტირებული ზიანის პრევენციის მოქმედების რადიუსის შემცირება საადვოკატო ბიუროებისთვის უფრო ფართო ხდება.

მეორე მხრივ, ნაწილობრივ საჯარო ორგანოები, სტრუქტურები ცდილობენ დერეგულირებას და კომერციალიზაციას იმ საბაბით, რომ სანოტარო სამართალი არის ზედმეტად რეგულირებული,

ნოტარიუსის პროფესიის დერეგულირებაზე ევროკომისია წლებია მუშაობს. სულ ბოლო მცდელობა, ევროპულ მარეგულირებელ ინდექსში ნოტარიუსი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი შეეყვანათ, გასულ წელს გერმანიის ფედერალურმა ნოტარიუსთა პალატამ, საფრანგეთის Conseil Supérieur du Notariat-ის, და ორივე ქვეყნის იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით ჩაიშალა. ეს არ იქნება ბოლო.

OECD ასევე გულმოდგინედ მუშაობს საანოტარო კომპეტენციის შემცირებასა და პროფესიული სამართალის ლიბერალიზაციაზე. ჯერჯერობით უშედეგოდ.

3. ფულის გათეთრების პრევენცია და მომხმარებელთა დაცვა

და ბოლოს, ორი დადებითი ასპექტის განხილვაა საჭირო, რომლებიც ნოტარიატის მომავალს, დიდი ალბათობით, გარკვეული დროით განსაზღვრავენ, კერძოდ, ამოცანების გლობალური მითითებები ფულის გათეთრების პრევენციის ფარგლებში და მომხმარებელთა დაცვის კონტექსტში.

უძრავი ქონების ტრანზაქციებში ან კორპორაციულ სამართალში მათი მონაწილეობით, ნოტარიუსებს აქვთ კარგი ცოდნა განსაკუთრებით ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ სფეროებში. ევროკავშირის ფულის გათეთრების დირექტივები აკისრებენ ნოტარიუსებს თანამშრომლობის ვრცელ ვალდებულებებს, შესაბამისი სისხლის

სამართლის დანაშაულების ხელშეშლისა და გამოვლენის მიზნით. პროფესიულ-პოლიტიკური ამოცანა, განსაკუთრებით ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, იქნება კანონმდებლებისა და სასამართლო ადმინისტრაციებისთვის იმის ნათელყოფა, რომ ნოტარიუსებს შეუძლიათ მხოლოდ ფულის გათეთრების თავიდან ასაცილებლად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების გარანტირება, თუ მათ მინიჭებული აქვთ შესაბამისი დოკუმენტის დამოწმების უფლებამოსილება და ექვემდებარებიან დისციპლინურ მონიტორინგს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით

შემდგომი დავალება არის ის, რომ ნოტარიატმა დაარწმუნოს კანონმდებელი მომხმარებელთა დაცვის ფუნქციების აღქმის სარგებლობაში. არსებობს კარგი არგუმენტები ამის სასარგებლოდ, რომ უძრავი ქონების ტრანზაქციების გამარტივებისა და დაჩქარების გრძელვადიანი მიზანი მხოლოდ გარკვეულ წერტილამდეა სასურველი - როგორც მომხმარებელთა დაცვის, ისე ქცევითი ეკონომიის თვალსაზრისით. საშუალო შესაძლებლობის მქონე მოქალაქემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ არა დროში ზეწოლის ქვეშ, არამედ მხოლოდ ფრთხილი განხილვის შემდეგ და კომპეტენტური კონსულტანტების ჩართულობით. ეს არ ემსახურება არცერთი მომხმარებელის ინტერესს, როდესაც ის აფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას უძრავ ქონებაზე ონლაინ მოკლე დროში და, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში გამოუყენებელი ვადის გასვლის შემდგომ აანალიზებს, რა მინუსებითა და რისკებით ივაჭრა. უძრავი ქონება ყველა ეკონომიკის ერთ-ერთი ცენტრალური რესურსია და როგორც წესი, ნორმალური მოქალაქის ქონების არსებით ნაწილს წარმოადგენს. არავის ინტერესს ემსახურება, როდესაც მას წუთების ან წამების განმავლობაში შეუძლია ისევე ივაჭროს, როგორც ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე. უძრავი ქონების გარიგებისთვის საჭიროა სანდო, ნეიტრალური მესამე პირები, რომლებსაც აქვთ შესანიშნავი პროფესიული განათლება და თავიანთ პროფესიულ საქმიანობას პიროვნულად და ეკონომიკურად დამოუკიდებლად ახორციელებენ.

სოციალურად მისაღები სამართლებრივი და სასამართლო პროცედურების დიგიტალიზაცია, ლიბერალიზაცია და გამარტივება, რომელიც ამავდროულად იცავს საზოგადოებრივ ინტერესებს, სამომავლოდ მხოლოდ სანოტარო ბიუროს პროფესიული დაწესებულებების მუშაობის მუდმივი სფერო არ იქნება. ეს, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო ორგანოებისა და სასამართლო ადმინისტრაციების პასუხისმგებლობის სფეროა, რომლებიც, შესაბამისი კონსტიტუციების მიხედვით, ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ სამართლებრივი ნორმების განხორციელების მონოპოლია, ფუნქციონალური სახელმწიფოებრივი სასამართლო პრაქტიკა, ხელი შეუწყონ იურიდიულ სტაბულურობას და დაიცვან მათი მოქალაქეების ფინანსური ინტერესები.

16 დეკემბერი, 2022